გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

2021 წლის საუკეთესო პრაქტიკის პროგრამაში მონაწილეობაზე

ქედის მუნიციპალიტეტი

1. **პრაქტიკის/ინიციატივის სათაური:**
(ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა)

2. **თემატიკა:**
(გენდერული თანასწორობა და ადამიანის უფლებები ადგილობრივ დონეზე)

3. **პრაქტიკის/ინიციატივის ავტორი/ინიციატორი:**
(მუნიციპალიტეტი, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია, ადგილობრივი მოსახლეობა).
ქედის მუნიციპლიტეტის მერია, ,,ქალთა ოთახი"

4. **მუნიციპალიტეტის ზოგადი მონაცემები:**
(ძირითადი/ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ: დასახელება, გეოგრაფიული მდებარეობა, მოსახლეობის რაოდენობა, და ა.შ. მაქსიმუმ ნახევარი გვერდი)
ქედის მუნიციპალიტეტი მდებარეობს მდინარე აჭარისწყლის შუაწელზე. ჩრდილოეთით, 38 კმ სიგრძეზე ქობულეთი ესაზღვრება, აღმოსავლეთით 24 კმ სიგრძეზე შუახევი, დასავლეთით 24 კმ სიგრძეზე ხელვაჩაური, სამხრეთით კი თურქეთის 17 კილომეტრიანი საზღვარი აკრავს. ქედის რაიონს სამხრეთით მიუყვება შავშეთის ქედი, ჩრდილო-აღმოსავლეთით მესხეთის ქედი, ჩრდილოეთითა და ჩრდილო-დასავლეთით – ქობულეთის ქედი.მუნიციპალიტეტის საერთო ფართობი 452 კმ2-ია. მოსახლეობის რაოდენობა – 21,244. ქედის მუნიციპალიტეტში შედის 10 საკრებულო და 64 დასახლებული პუნქტი. ადმინისტრაციული ცენტრი დაბა ქედაა, რომელიც ზღვის დონიდან 200 მეტრის სიმაღლეზემდებარეობს. მდინარე აჭარისწყლის გასწვრივ ხმელთაშუა ზღვის ტიპის მსგავსი სუბტროპიკული ჰავაა. სიმაღლის მატების შესაბამისად ჰავა ნოტიო ხდება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ძირითადად, ორი ნიადაგური ზონაა: მთა-ტყისა და მთა-მდელოს ნიადაგები. მდიდარი და მრავალფეროვანია მცენარეული საფარი. ძირითადად გავრცელებულია ფოთლოვანი და მცირე რაოდენობით – წიწვოვანი მცენარეები. მრავალფეროვანია ცხოველთა სამყარო. სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგებია: მეხილეობა, მევენახეობა, მემცენარეობა,

მებოსტნეობა, მეფუტკრეობა. განვითარებულია საკალმახე მეურნეობა (ოქტომბერი, აგარა, წონიარისი, ცხმორისი).

ქედა გამოირჩევა ყურძნის უნიკალური ჯიშებით. რაიონში წარმოებული ღვინოები – „ქედის ცოლიკოური“ და „ჩხავერი“ – დიდი პოპულარობით სარგებლობს. მოწყობილია ღვინის მარნები (მ. შერვაშიძე – სოფ. პირველი მაისი, ლადო შავიშვილი – სოფ. ვაიო, ნური სირაბიძე – სოფ.გეგელიძეები).

მუნიციპალიტეტი მდიდარია სხვადასხვა ბუნებრივი წიაღისეულით – სპილენძისა და ოქროს საბადოებით (მერისი, ვაიო). სამკურნალო და მინერალური წყლებიდან აღიარებულია „კოკოტაურისა“ და „გუნდაურის“ წყლები. „კოკოტაურს“ მინიჭებული აქვს საერთაშორისო სერთიფიკატი.

ისტორიული მემკვიდრეობიდან გამოირჩევა მატერიალური კულტურის ძეგლები: სათვალთვალო კოშკებავიანი, გულები, ძენწმანი, საღორეთი, ცივასულა; ქვის თაღოვანი ხიდები – მახუნცეთი, პირველი მაისი, წონიარისი, დანდალო; ციხეები – ზენდიდი, ცივასულა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აჭარისწყლისა და მთის მდინარეების ხეობებში შესაძლებელია როგორც ფლორისა და ფაუნის მრავალფეროვანი ნიმუშების, ასევე ჩანჩქერების მონახულება.

ქედის მუნიციპალიტეტის დაბალ ზონაში, მდინარე აჭარისწყლის ხეობის გასწვრივ, ხმელთაშუა ზღვის ტიპის მსგავსი სუბტროპიკული ჰავაა. სიმაღლის მატებასთან ერთად ჰავა ზომიერად ნოტიო ხდება, მთების ზედა სარტყლის ზონაში კი შედარებით ცივი, ნოტიო ჰავაა გავრცელებული. რაიონის ტერიტორიაზე საშუალო წლიური ტემპერატურა 12.80°C-ია, იანვრის საშუალო ტემპერატურაა 3.40°C, ხოლო ივლისისა კი - 21.20°C.

5. **მუნიციპალიტეტის მახასიათებლები**:
(გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენს მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე)

- **შიდა ფაქტორები** - იმ გარემოებების აღწერა, რომელიც გავლენას ახდენს საუკეთესო პრაქტიკის კონკურსში წარდგენილი პროექტის განხორციელებაზე, მაგ.: საჯარო მოხელეების კვალიფიკაცია, ფინანსური რესურსი, ტექნიკური შესაძლებლობები და ა.შ.;
  მუნიციპლიტეტის გენდერული თანასწორობის კუთხით არებული ვალდებულებების განსახორციელებლად შეზღუდული ადამინური რესურსი, საჯარო მოხეელბის

კვალიფიკაცია, კერძოდ -გენდერული თანასწორობის საკითხების დაგემვასა და წარმართვის ორგანიზების საკითხები, ფინანსური რესურსი;

- **გარე ფაქტორები** - ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობა, ასევე, მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე გავლენის მქონე სხვა ფაქტორები (მნიშვნელოვან სატრანზიტო გზასთან სიახლოვე, მსხვილ საერთაშორისო პროექტში ჩართულობა და ა.შ.), რომლებსაც შეეძლო გავლენა მოეხდინა პროექტის განხორციელებაზე;

  სოფლის მოსახლეობას აქვს შიდა გადაადგილების პრობლემა სოფლიდან ქედის მუნიციპალიტეტის ცენტრამდე, რის გამოც ხშირ შემთხვევაში განსაკუთრებით მაღალმთიანი სოფლებიდან, რჩება ინფორმაციის გარეშე.

  აღნიშნულ პრობლემას კვლევების გარდა ამყარებს ქედის ქალთა ოთახის ვიზიტორები, რომლებიც წლებია ითხოვენ დახმარებას. ქალთა ოთახი ძირითად აქტივობებს ქალებისა და გოგონებისთვის ახორციელებს, თუმცა სოფლად მცხოვრები მოსახლეობის დიდი ინტერესის მიუხედავად ისინი ვერ ახერხებენ ჩართვას ქალთა ოთახის მიერ ჩატარებულ შეხვედრებში და რა თქმა უნდა ამის ძირითადი მიზეზი ტრანსორტის არარსებობაა. (კომენტარი: ქალთა ოთხი და გენდერული საბჭო მოსახლეობის ინტერესებიდან გამოდინარე აწყობს გასვლით შეხვედრებს და ღონისძიებებს შესაძლებლობის ფარგლებშ).

COVID-19 - კორონა ვირუსის პანდემიის გამო და ქვეყანაში შექმნილი რთული ვითარებიდან გამომდინარე, ღონისძიებები შეიზღუდა და პროგრამისთვის თანხას შეეცვალა მიზნობრიობა.

6. პრაქტიკის/ინიციატივის მოკლე აღწერა:

(მაქსიმუმ ერთი გვერდი. მნიშვნელოვანია, რომ შინაარსი მოიცავდეს შემდეგ სავალდებულო საკითხებს)

გამოწვევა - ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა.

აქტუალობის დასაბუთება: ეკონომიკური გაძლიერება

მიუხედავდ იმისა, რომ ქედის მუნიციპალიტეტმა გარკვეული პროგრესი განიცადა გენდერული თანასწორობის მიღწევის თვალსაზრისით, მაინც დღის წესრიგში რჩება გარკვეული პრობლემები როგორიცაა, ქალთა და მამაკაცთა თანაბარი მონაწილეობა ოჯახის ეკონომიკურ საქმიანობებში, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა ჩართულობა და ა.შ. მზარდი ფაქტები და მონაცემები ადასტურებენ, რომ გენდერული თანასწორობის მიღწევა ქალთა ეკონომიკური გაძლიერების/წახალისების გარეშე შეუძლებელია.

გატარებული მნიშვნელოვანი ღონისძიებების მიუხედავად საჭიროა დამატებითი აქტივობების განხორციელება, ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ქალთა ჩართულობის გააქტიურება ეკონომიკურ პროცესებში ადგილობრივ დონეზე და ქალთა ეკონომიკური შესაძლებლობები/გამოწვევები. გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში ქალებმა გამოიმუშავეს პროექტის შედგენისა და წერის უნარ-ჩვევები, სასწავლო ტრენინგ მოდულების

ციკლი დასრულების შემდეგ, მათ გააჟღერეს იდეა ადგილობრივ ბიუჯეტში გაწერილიყო ისეთი პროგრამა, რომელიც იქნებოდა საკონკურსო, რაც მისცემდათ საკუთარი იდეის თანამონაწილეობით განხორციელების საშუალებას, სწორედ მათი ინტერესბიდან გამომდინარე მოხდა პროგრამის შემუშავება და ბიუჯეტში გათვალისწინება. (იხ. დანართი N2) 2022 წელს დაიწყება პროგრამის განხორციელბა, რომლის ბიუჯეტი 15 000 ლარით განისაზღვრა.

გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა;

ქედის მუნიციპალიტეტში 2018 წლიდან ხორციელდება ,,გენდერული თანასწორბის ხელშეწყობის მიზნობრივი პროგრამა, რომელიც სხვადასხვა აქტივობებს მოიცავს, მოსახლების ცნობიერების ამაღლება თანასწორობის საკითხებზე, ქალებისა და გოგონების წინააღმდეგ მიმართულ ძალადობებზე და მათი აღმოფხვრის გზებზე ინფორმაცის მიწოდება. იხ. დოკუმენტი 2018 წლის პროგრა, 2019 , 2020 და 2021 წლების.

წარსული გამოცდილება - როგორ ხდებოდა გამკლავება აღნიშნულ პრობლემასთან და რა უშლიდა ხელს მის აღმოფხვრას; აღსანიშნავია, რომ 2015 წლის 11 თებერვლამდე ქედის მუნიციპლიტეტში არ არსებობდა გენდერულ თანასწორბაზე პაუხიმგებელი პირის პოზიცია, შესაბამისად გენედერული თანასწორობის უზრუნველყოფით არვინ დაინტერესბულა, სოფლის მხარდაჭერის პროგრამები მიმდინრეობდა ქალების ჩართულობის გარეშე.

- **პასუხი არსებულ გამოწვევაზე** - ზემოთ აღნიშნული წარსული გამოცდილბის საპასუხოდ-დაინიშნა გენდერულ თანასწორობაზე პასუხიმგებელი პირი, რომელმაც აქტიურად დაიწყო მუშაობა აღნიშნული მიმართულებით, 2015 წლის ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამა პირველად მიმდინარეობდა ქალების ჩართულობით, რომლის მისაღწევად სოფლებში შეიქმნა ქალთა საინიციატივო ჯგუფები, სწორედ პრველად მიიღეს მონაწილეობა ქალებმა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ოქმები მომზადდა გენდერულ ჭრილში არაერთი ინიციატივა დასახელდა ქალების მიერ, შემდგომ განხორციელდა. 2016 წელს საჭიროებიდან გამომდიანრე, ქალთა ცნობიერების დონის ამაღლების ქალებისათვის სასურველი, მათ საჭიროებებზე მორგებული ინფორმაციის, სერვისების მიწოდების კუთხით, რამაც შემდგომში განაპირობა მათი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური აქტიურობა გაიხსნა ,,ქალთა ოთახი“.

  2018 წელს- შემუშავდა ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სამსხაურის გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიზნობრივი პროგრამა, რომლიც 2018 წლიდან დრემდე უწყვეტად ხორციელდება, რისთვისაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო -5500 ლ, ყოველწლიურად პროგრამის ბიუჯეტი მცირედით მაგრამ იყო მზარდი -2021 წლისთვის გამოიყო 10 000 ლ. (პროგრამული კოდი 05 03 02).

2021 წელს შემუშავდა ,,ადგილობრივ დონეზე ქალთა სოციალური-ეკონომიკური გაძლიერება/ხელშეწყობა“ - პროგრმა მიზანი: ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა, მათი საქმიანობის წახალისება, ადგილზე დასაქმების შესაძლებლობა და მეწარმე ქალების რაოდენობის გაზრდა, რაც ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას შეუწყობს ხელს.

7. **განხორციელებული პრაქტიკის/კონკრეტული ინიციატივის დეტალური აღწერა:** (გამოწვევის გამკლავების მიზნით გაწეული სამუშაო. გთხოვთ, პრაქტიკის აღწერისას თანმიმდევრულად მიყვეთ ქვემოთ ჩამოთვლილ პუნქტებს)

- **პროექტის შინაარსი;**

მოკლედ აგიღწერთ ჩვენი პრაქტიკის ინიციატივის შინაარსს ვინაიდან ორ მოცულობით თემას აერთიანებს ((ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა) დეტალურად შეგიძლიათ იხ. თანადართულ დოკუმეტნაციაში პროგრამა/ქვეპროგრამაში ასევე მოცემულია განხორციელების დროითი გეგმა -

ქედის მუნიციპალიტეტში ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა

ქედის მუნიციპალიტეტის მერია პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების დროს ითვალისწინებს ქალთა და კაცთა საჭიროებებს.

ქედის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია პროგრამა გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის, ქვეპროგრამა ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის შესაბამისად შემუშავდა.

პროგრამა ითვალისწინებს სხვადასხვა საგანმანათლებლო და საინფორმაციო პროგრამების დაფინანსებას, რაც ხელს შეუწყობს ქალთა და მამაკაცთა თანაბარ წარმოჩენას, უფლებამოსილებას, პასუხისმგებლობასა და თანასწორ მონაწილეობას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, როგორიცაა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ქალისა და მამაკაცის თანაბარი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფას, გენდერული მეინსტრიმინგის ხელშეწყობასა და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრას, - აღნიშნულია პროგრამის დასაბუთებაში.

ქვეპროგრამის ფარგლებში, დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებები:

- **„ახალგაზრდა გოგონათა საერთაშორისო დღე“** – მიზნად ისახავს გოგონათა უფლებების აღიარებასა და დაცვას, განათლების ხელშეწყობას, მათი შესაძლებლობების გაზრდას;
- **„ტოლერანტობის საერთაშორისო დღე“** – მიზანია არატოლერანტობისა და დისკრიმინაციის საფრთხეებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება;

„ფორთოხლისფერი მსოფლიო – შეწყვიტე ძალადობა ქალებისა და გოგონების მიმართ!“ – მსოფლიო გენდერული უთანასწორობის წინააღმდეგ - ქალებისა და გოგონების წინააღმდეგ მიმართულ ძალადობებზე და მათი აღმოფხვრის გზებზე ინფორმაცის მიწოდება. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე საგანმანათლებლო-საინფორმაციო ტრენინგ/სემინარების ჩატარება – ქალებისა და გოგონების წინააღმდეგ მიმართულ ძალადობებზე და მათი აღმოფხვრის გზებზე ინფორმაცის მიწოდება. **(პროგრამა დანართის სახით თან ერთვის, იხ. დოკუმეტი 1).**

ქალთა ეკონომიკური გაძლიერება

ქალისა და მამაკაცის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად, მუნიციპალიტეტში შექმნილია ღია სივრცე საზოგადოებისათვის ,,ქალთა ოთახი“ , რომელიც 2016 წლიდან დღემდე წარმატებით ფუნქციონირებს.

ახალი მუნიციპალური სერვისი საზოგადოების ინიციატივების მხარდაჭერის მთავარ პლათფორმად იქცა. მოსახლეობამ ,,ქალთა ოთახების'' მეშვეობით თავიანთი ინტერესების ლობირება არა მხოლოდ თვითმმართველობის, არამედ სახელმწიფო ორგანოების დონეზე შეძლო.

დღეს კი, 4 წლის მონაცემებით, ,,ქალთა ოთახებს'' მუნიციპალიტეტში გაცილებით მეტი მოქალაქე აკითხავს ვიდრე მუნიციპალიტეტის სხვა სამსახურებს. გახსნის დღიდან დღემდე ,,ქალთა ოთახებში'' გაიცა 6 711 მომსახურება, ვიზიტორთა რაოდენობამ 7000 ადამიანი შეადგინა, საიდანაც 65%-ს სოფლად მცხოვრები ქალები წარმოადგენენ.

განსაკუთრებით აღსანისანავია ქალთა ოთახის როლი - ქალთა ეკონიმიკური გაძლიერების კუთხით, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის შესაძლებლობებისა და ფინასურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის მიზნით ჩატარდა ბიზნეს გეგმისა და ბიზნეს პროექტის წერის ტრენინგები, რამაც შემდგომში განაპირობა მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური აქტიურობა. მცირე ბიზნესის განვითარებითა და თავიანთი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებით დაინტერესებულ 200-მდე მოქალაქეს გაეწია ბიზნეს კონსულტაცია, საიდანაც 57 ბიზნეს პროექტი უშუალოდ ქალთა ოთახის მენეჯერის მიერ დაიწერა, აქედან 19 პროექტი დაფინასდა, მათ შორის 16 ბიზნეს იდეა ქალის მიერ იყო წარმოდგენილი, ამ ყველაფერმა ხელი შეუწყო ბიზნესის წამოწყებასა და ადგილზე დასაქმების შესაძლებლობას, ასევე კარგი პრაქტიკა აჩვენა ქედელ მეწარმე ქალთა

ბიზნეს ფორუმში მონაწილეობამ, რამაც ხელი შეუწყო ახალი კონტაქტების შეძენას და წარმატებული ქალი ბიზნესმენის გამოცდილების გაზიარებას და მათი ცნობიერების გაზრდას.

ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კუთხით შემუშავდა სპეციალური პროგრამა - ,,ადგილობრივ დონეზე ქალთა სოციალური-ეკონომიკური გაძლიერება/ხელშეწყობა"- რომლის ბიუჯეტი საწყის ეტაპზე არის - 15 000 ლ. (**(პროგრამა დანართის სახით თან ერთვის იხ. დოკუმეტი 2).**

ქალთა ოთახი აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ასოციაციებთან, კერძო და სახემლწიფო სექტორთან, რომლებიც რეგიონში გენდერული თანასწორობის, იურიდიული, ჯანდაცვის, განათლების, კულტურის, სოფლის მეურნეობის საკითხებისადმი ცნობიერების ამაღლების ხელშესაწყობად სხვადასხვა ტიპის შეხვედრებს მართავენ აღნიშნულ სივრცეში. არასამთავრობო და სამთავრობო ორგანიზაციებმა (ახალგაზრდა იურისტთა ასოცოაცია, დემოკრატიის ინსტიტუტი, ფერმერ ქალთა ასოცოაცია, აჭარის ჯანდაცის სამინისტრო, აჭარის უმაღელს საბჭოში არსებულ გენდერული თანასწორობის საბჭო, ა/ო ,,საორსა" მცირე კავასისიის ალინსების პროგრამ ,,მერსი ქორფსი") ქალთა ოთახებთან მემორანდუმი გააფორმეს, რის საფუძველზეც, ქალთა ოთახის ბენეფიციარები ჩართული არიან ამ ორგანიზაციების შეხვედრებსა და პროექტებში.

აღსანიშნავია, რომ ქედის მერიის პროგრამის ,,მოქალაქეთა თანამონაწილეობა ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში" პროგრამის ფარგლებში, ქალებს ჰქონდათ იდეა, ,,სპორტულ გამაჟანსაღებელი ცენტრის მოწყობა" დაბა ქედაში, მაგრამ ვერ ახერხებდნენ ფურცელზე გადატანას ,,ქალთა ოთახმა" ჩაუტარა სასწავლო ტრენიგნ/მოდული ,,როგორ ვაქციოთ იდეა პროექტად" - რომლის შემდეგ საინიციატივო ჯგუფმა ქალთა ოთახის ჩართულობით პროექტი დაწერა და გაიმარჯვა.

2020 წლის 26 თებერვალს გამართულ შეხვედრაზე - ,,ქალთა ოთახების სტანდარტიზაცია და მასშტაბების გაზრდა" -სადაც ქედის მუნიციპალიტეტის ქალთა ოთახი წარმატებულ მაგალითად განიხილეს. შესხვედრის შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხ. ბმულზე:

https://www.facebook.com/media/set/?vanity=KedaMunicipality&set=a.3038795002821741

ქედის მერიის მიერ განხორციელებული აქტივობები შეგიძლიათ იხლოთ შემდეგ ბმულზე; http://keda.gov.ge/ge/genderuli-tanastsorobis-sabcho/siakhleebi

პროექტის განხორციელებისათვის მიღებული/გაფორმებული გადაწყვეტილებების, ან პროექტთან დაკავშირებული დოკუმენტების ჩამონათვალი (მუნიციპალიტეტის რელევანტური სტრატეგიული დოკუმენტები, განვითარების გეგმა, ბრძანებები, განკარგულებები, დადგენილებები, რეზოლუციები, შეხვედრის ოქმები, ინსტრუქციები და ა.შ.). *<u>აღნიშნული დოკუმენტაცია თან უნდა დაერთოს განაცხადის შევსებულ ფორმას; - მუნიციპლიტეტი გადასულია პროგრამულ ბიუჯეტზე, შესაბამისად პროგრამები მტკიცდება ადგილობრივი ბიუჯეტით, რომელიც გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში.</u>*

- **ინფორმაცია პროექტისთვის გამოყენებული რესურსის შესახებ. მ.შ.:**
  ა) ადამიანური რესურსი - საკუთარი
  ბ) ფინანსური - პროგრამის გამსახორციელებლად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ხოლო ქალთა ოთახის გახსნა მოხდა დონორის დახმარებითა და ჩართულობით;
  გ) გამოყენებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსი - მერია;
- **პროექტის განხორციელების პროცესში გამოკვეთილი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების აღწერა;**
  აღწერილია პროექტის შინაარსში
- **ინფორმაცია იმ პარტნიორების შესახებ, ვინც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვის, ან განხორციელების ეტაპზე;**

  აღწერილია პროექტის შინაარსში

- **სხვა დამატებითი ინფორმაცია, რაც მნიშვნელოვანი იყო პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის;** - თანამშრომლობა არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მოსახლეობის მაღალი ინტერესი და ჩართულობა.

8. მიღწეული შედეგი და დადებითი გავლენა:
(დეტალური, დოკუმენტირებული ინფორმაცია მიღწეული შედეგების შესახებ)
მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს- მნიშვნელოვანი შედეგები; ჩამოყალიბდა მოქნილი საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი; შეიქმნა სივრცე მოსახლეობასს და ხელისუფელბას შორის თავისუფალი დიალოგისათვის; 10 -ადმინისტრაციულ ერთეულში ჩამოყალიბდა ქალთა საინიციატივო ჯგუფები; გაიზარდა მიზნობრივი სეგმენტის წვდომა მათთვის საჭირო ინფორმაციაზ, ამაღლდა მიზნობრივი სეგმენტების (გოგონები, ქალები) სოციალური გაბედულობა, საკუთარი ინტერესების გარკვევისა და დაცულობის დონე (გრძელვადიან პერსპექტივაში), გაიზარდა მეწარმე ქალთა რიცხვი, რომლებმაც შეძლეს ადგილზე საკუთარი საქმიანობის წამოწყება, გაიუმჯობესეს უნარ/ჩვევები, განხრციელებულმა აქტივობებმა ხელი შეუწყო ისეთი მენტალური და სოციალური გარემოს შექმნას რაც წინაპირობაა სოფლად მცხოვრები ქალების ჩართულობის აამარლებისთვის საზოგადებრივ ცხოვრებაში და ადგილობრივი თვითმმართველობის აქტივობებში. ამაღლებულია მოსახლეობის ცნობიერება

გენდერული თანასწორობის კუთხით და გრძელვადიან პერსპექტივაში მდგრადობისთვის არნიშნული მიმართულებით აქტიურად გაგრძელდება მუშაობა.

9. მიღებული გამოცდილება და გაკეთებული დასკვნები:

(ამ ნაწილში მოცემული უნდა იყოს პროექტის განმახორციელებლის რჩევები და მოკლე გზამკვლევი იმათთვის, ვინც ეცდება აღნიშნული წარმატებული პრაქტიკა დანერგოს თავის მუნიციპალიეტეტში)

ჩვენს მიერ პრაქტიკაში დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება ვთვლი, რომ საკითხის მრაველფეროვნებიდან და მოცულობიდან გამომდინარე არის მოკრძალებული, მაგრამ საწყისი ეტაპისატვის მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ჩატარებული აქტივობების საშუალებებით მოკლევადიანი მიზნებისა და შეგების მისაღწევად, გრძელვადიან პერპექტივაში მნიშვნელოვანია მუნიციპლიტეტბმა ითანამშრომლონ საკითხზე მომუშავე სამთავრობო და არასამთავრობო უწყებთან, ორგანიზაციებთან და უპირველესყოვლისა იცოდეს მის არეალში მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებები, სწორედ მათი საუკეთესო ინტრესებიდან გამომდინარე მოხდეს ინტეგრაცია, ხელშეწყობა, უფლებების დაცვა, საზოგადეობის მგრძნობელობის გაზრდა.

- **წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები** (მ.შ.: კონკრეტული მუნიციპალიტეტისათვის სპეციფიკური ფაქტორების ჩათვლით);
  1. **ინსტიტუციური მექანიზმი.**
  2. **გადაწყვეტილებების მიმღები პირების მხარდაჭერა;**
  3. **გენდერული თანასწორობის საბჭოს ჩამოყალიბება**
  4. **თემის აქტუალრობა;**
  5. **ფინანსური რესურსი;**
  6. **გენდერული საბჭოსთან მჭიდრო თანაშრომლობა, კონტაქტები სხბადსხვა ორგანიზაციებთან.**
  7. **ქალთა დაინტერესების მაღალი დონე.**
- **ინფორმაცია პრატიკის/ინიციატივის მდგრადობის შესახებ** (გთხოვთ, მიყვეთ პუნქტობრივად):

  ა) პროექტის შედეგად მუნიციპალური სერვისის მიწოდებაში ასახული ცვლილება;
  მუდმივად მიმდინარეობს გენდერული პოლიტიკის გახორციელების პროცესი, მუნიციპლიტეს დაემატა ახალი სერვისები და პრგრამები, რაც მანანდე არ არსებოდა
  ბ) პროექტის შედეგად ადგილობრივ ბუჯეტში ასახული ცვლილება; (ადგილობრივ ბიუჯეტში გაჩნდა გენდერული თანასწორობის კლასიფიკაიის კოდი, ბიჯეტში ჩაეშვა ახალი პროგრამები, ისთვისაც გამოიყო თანხა.
  გ) მოსახლეობის მხარდაჭერა;
  მაღალი ინტერესი და მხარდაჭერა.
  დ) შეტანილია თუ არა პროექტი მომავალი წლის ბიუჯეტში;
  დიახ.

10. **საკრებულოს როლი:**
    - **პროექტის/ინიციატივის დაგეგმვის, განხორციელების, შედეგების შეფასების საკითხში;**
      ჩარტულია საკრებულო და გენდერული თანასწორობის საბჭო
    - **საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის კონკურსში მონაწილეობისათვის პრეოქტის/ინიციატივის შერჩევის საკითხში;**
      ჩართულია
    - **როგორი იყო საკრებულოში არსებული ფრაქციების დამოკიდეულება ამ პრაქტიკის/ინიციატივის მიმართ; პოზიტიური.**

11. **პრატიკასთან/ინიციატივანსთან ან ამავე საკითხთან დაკავშირებული, სამომავლო გეგმების მოკლე მიმოხილვა;**
    სამომავლოდ გენდერული თანასწორობის კუთხით იგემება არერთი სიახლე, მათ შორის ინსტიტუციური მექანიზმის გაძლიერება, კერძოდ ქალთა ოთხში - შტატის დამატება, მიმდინარეობს მუშაობა გენდერულ ბიუჯეტზე, პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავება (ფინანსური მხარდაჭერა) გენდერული თანასწორობის სტრატეგიის დოკუმენტის მომზადება და მისგან გამომდიანრე 2022 -2025 წლების სტრატეგიის დოკუმენტზე მუშაობა, რომელიც მიმდიანრე წლის ბოლომდე საკრებულს წარედგინება დასმტკიცებლად.

12. **საკონტაქტო ინფორმაცია:**
    - **განაცხადის შევსებაზე პასუხისმგებელი პირის მონაცემები:** სახელი, გვარი, თანამდებობა, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელ-ფოსტა);
      თეა შარაშიძე - ადმინისტრაციული სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი გენდერული თანასწორობის საკითხებში. მობ: 599 32 64 00 ელ-ფოსტა; tea_sharashidze@yahoo.com
    - **პროექტის საკონტაქტო პირების მონაცემები**: იმ პირთა სახელი, გვარი, სამსახურებრივი პოზიცია, ტელეფონი, ელ.ფოსტა, რომლებიც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაში და, საჭიროების შემთქვევაში, შეუძლიათ პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მიაწოდონ დაინტერესებულ პირებს.
      ინდირა გორგაძე -გენდერული საბჭოს წევრი მობ: 599 85 12 20 el-fosta indiragorgadze@gmail.com
      მზია ბოლქვაძე - გენდერული საბჭოს წევრი მობ: 593 74 05 77

13. **თანდართული დოკუმენტების/მასალების სია**
    გთხოვთ განაცხადს თან დაურთოთ:
    ა) პროექტის განხორციელების პროცესში შექმნილი დოკუმენტები;

გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა- 2021

(პროგრამა დანართის სახით თან ერთვის, იხ. დოკუმეტი 1)

,,ადგილობრივ დონეზე ქალთა სოციალური-ეკონომიკური გაძლიერება/ხელშეწყობა“- რომლის ბიუჯეტი საწყის ეტაპზე არის - 15 000 ლ. ((**პროგრამა დანართის სახით თან ერთვის იხ. დოკუმეტი 2).**

ქედის მუნიციპალიტეტის მერიისადმინისტრაციული სამსახურის გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის
მიზნობრივი პროგრამა (2018 წელი და საკრებულოს განკარგულება) დოკუმნტი 3.

ქედის მუნიციპალიტეტის მერიისადმინისტრაციული სამსახურის გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის
მიზნობრივი პროგრამა (2020 წლის პროგრამა) დოკუმნეტი 4

ბ) პროექტთან დაკავშირებით გამოქვეყნებული ანგარიშები (მ.შ.: მერის, საკრებულოს წევრის ანგარიშები);- http://keda.gov.ge/ge/genderuli-tanastsorobis-sabcho/siakhleebi

გ) ადგილობრივი ეკონომიკური განვითერბის გეგმა, სტრატეგია ან სხვა დოკუმენტი, რომელიც კავშირშია პროექტის განხორციელებასთან;- არ არის ვალიდური ჩვენს პროექტთან
გ) პროექტის განხორციელების, სხდომების, მოსახლეობასთან შეხვედრების ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალა ან შესაბამისი ლინკი.

http://keda.gov.ge/ge/genderuli-tanastsorobis-sabcho/siakhleebi